

ფოლიკულო მასტიმულირებელი ჰორმონი FSH

FSH არის ჰორმონი, რომელიც წარმოიქმნება ჰიპოფიზის წინა წილის მიერ. ქალებში, მენსტრუალური ციკლის პირველ ნახევარში, FSH ასტიმულირებს საკვერცხეებში ფოლიკულების ზრდასა და მომწიფებას. იგი ასევე ასტიმულირებს ესტრადიოლის პროდუქციას. მამაკაცებში, FSH სპერმის წარმოქმნას აძლევს სტიმულს და ხელს უწყობს ანდროგენის შემზოჭველი ცილების პროდუქციას. FSH-ის წარმოქმნა სტიმულირდება გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონის მიერ (გამომუშავდება ჰიპოთალამუსში) და აგრეთვე უკუკავშირის გზით კონტროლდება ანდროგენებისა და ესტროგენების მიერ (გამომუშავდებიან სასქესო ჯირკვლებში - გონადებში).

რატომ კეთდება FSH-ის ტესტი?

FSH-ის ტესტი ინიშნება თუ პაციენტს აქვს ჰიპოფიზის ან გარკვეული რეპროდუქციული დარღვევის ნიშნები. ტესტი გამოიყენება შემდეგი მდგომარეობების დიაგნოსტიკისა და შეფასებისთვის:

- ჰიპოფიზის დარღვევები
- ჰიპოთალამუსის დარღვევები
- მენოპაუზა
- საკვერცხის ცისტები
- არარეგულარული მენსტრუალური ციკლი
- უნაყოფობა (მამაკაცებშიც და ქალებშიც)
- სათესლე ჯირკვლების არარსებობა ან განუვითარებლობა

ბავშვებში FSH-ის ტესტი ინიშნება, როდესაც ეჭვი აქვთ ნაადრევ ან დაგვიანებულ სქესობრივ მომწიფებაზე.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი. სპეციალური მომზადება საჭირო არ არის, მაგრამ ქალებს ანალიზი მენსტრუალური ციკლის გარკვეულ დღეებში უტარდებათ.

რას ნიშნავს მომატებული FSH?

ქალებში FSH-ის მაღალი მაჩვენებლები ხშირად გამოწვეულია საკვერცხეების პირველადი უკმარისობით და შეიძლება მიუთითებდეს:

- საკვერცხეების აგენეზიაზე

- საკვერცხეების მიერ სტეროიდების წარმოქმნის დარღვევაზე
- ტერნერის სინდრომზე
- პოლიციტური საკვერცხეების სინდრომზე
- საკვერცხეების სიმსივნეზე
- მენოპაუზაზე
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაზე

მამაკაცებში FSH-ის მომატებული დონე შეიძლება გამოწვეული იყოს:

- სათესლეების პირველადი უკმარისობით
- კლაინფელტერის სინდრომით

ბავშვებში FSH-ის მომატებული დონე შეიძლება მიუთითებდეს ნაადრევ სქესობრივ მომწიფებაზე.

რას ნიშნავს დაბალი FSH?

მამაკაცებშიც და ქალებშიც FSH-ის დაბალი მაჩვენებლები ახლავს ჰიპოფიზის ან ჰიპოთალამუსის დარღვევებს. FSH შეიძლება დაბალი იყოს აგრეთვე დაგვიანებული სქესობრივი მომწიფებისას.

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

FSH-მა შეიძლება მოიმატოს ციმეტიდინის, კლომიპენის, დიგიტალისისა და ლევოდოფას მიღების შედეგად. FSH-მა შეიძლება დაიკლოს ორალური კონტრაცეპტივების, ფენოთიაზინების გამოყენების და ასევე, ჰორმონული მკურნალობის შედეგად.